ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №807188

ნომერი: AR1147666

თარიღი : 18.07.2013

გაცემის თარიღი : 23.07.2013

გაცნობის თარიღი : 29.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ჭოველიძე პ/ნ 01010002946
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 16 ბ. 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე,ი. ჭავჭავაძის გამზირი N 16–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.009/001) არსებული შენობის შპს „ავრორა–95“–ს კუთვნილი ფართის ფასადზე შპს „ალტა“–ს სარეკლამო აბრის მოწყობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. კახა ჭოველიძის განცხადება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882013311058 საკადასტრო კოდი N 01.14.11.009.001.01.522, მესაკუთრის თანხმობა , მინდობილობა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე,ი. ჭავჭავაძის გამზირი N 16–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.009/001) არსებული შენობის შპს „ავრორა–95“–ს კუთვნილი ფართის ფასადზე შპს „ალტა“–ს სარეკლამო აბრის მოწყობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას მისი კონსტრუქციული მდგრადობა

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge